25/01/2024

MES 8 24 0000071540

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია- შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2.სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნათია კვირიკაშვილი- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
რუსუდან ზვიადური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამარ ფიფია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. **სპს- სენაკის ქართულ- ევროპული სკოლა N1:**

მაია მზარელუა- დირექტორი

2. **შპს- ალბიონი:**

მირანდა შუბლაძე- სკოლის დამფუძნებელი

3. **სსიპ- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლა:**

დანგაძე ელისო- დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

4. **სსიპ- კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლა:**

ანა იასაშვილი- სკოლის წარმომადგენელი

5. **სსიპ- მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლენჯერის N2 საჯარო სკოლა:**

ლალი გულედანი- დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

სპს - სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1:

ა) ლელა ჯაში - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) ნატო ოგანეზოვი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) მზევინარი დარბაისელი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) მაია მაძღარაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ნინო მოლაშხია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ეთერ ქუთათელაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) თემური კურცხალია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) როლანდი ხოჯანაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) ლიანა კობესაშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) გიორგი კოპლატაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლა:

ა) ნინო კაშია - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) დარეჯან ზარანდია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) შორენა გაგუა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) ნანა მარღანია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) სოფიკო მჭედლიშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) თეონა ჯაფარიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ანა ობოლაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) თეონა შერაზადიშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) ლალი აბულაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ქეთევან ცირეკიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ- კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლა:

ა) ნოდარ ანგურიძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო შუბლაძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნელი ნაოჭაშვილი - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო კილაძე - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
ე) მარინა თავართქილაძე - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ დეკანოსიძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ თემურ კურცხალია - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) როლანდი ხოჯანაშვილი - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მზია დადვანი - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭიჭინაძე - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლენჯერის №2 საჯარო სკოლა:

ა) ლელა ბუბაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) ლიანა კობესაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ნინო ბურჯალიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) ლელა კაკაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) მარინა თავართქილაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ნინო როსტომაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ნანა ნოზაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) ნანა შალამბერიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) მანანა შეროზია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) ედუარდ ნაკაიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 10 იანვარს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სპს- სენაკის ქართულ- ევროპული სკოლა №1-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს- ალბიონის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა ;
3. სსიპ- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ- კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ- მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლენჯერის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა დააყენა ცენტრის წარმომადგენელმა, კერძოდ დღის წესრიგს დამატებოდა შემდეგი საკითხი: კერძოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N1414716 სხდომსა და 2023 წლის 20 ოქტომბრის N1415023 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა და დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N1414716 სხდომის ოქმსა და ,,სსიპ - ქალაქ რუსთავის N28 საჯაროს სკოლის ავტორიზაციის ავტორიზაციის შესახებ" 2023 წლის 20 ოქტომბრის N1415023 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სპს- სენაკის ქართულ- ევროპული სკოლა №1-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს- ალბიონის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
4.სსიპ- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ- კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6.სსიპ- მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლენჯერის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N1414716 სხდომის ოქმსა და ,,სსიპ - ქალაქ რუსთავის N28 საჯაროს სკოლის ავტორიზაციის ავტორიზაციის შესახებ" 2023 წლის 20 ოქტომბრის N1415023 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2023 წლის 06 ოქტომბერს საბჭოს სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-5 საკითხად განხილული იყო სსიპ- ქალაქ რუსთავის N28 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხი. აღნიშნულ საკითხთთან დაკავშირებით საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ, მისთვის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების განსაზღვრის გარეშე. აღნიშნული სკოლის 2023 წლის 20 ოქტომბრის N1414716 ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმსა და N1415023 გადაწყვეტილებაში, შეცდომით იყო ასახული საბჭოს შუამდგომლობა მონიტორინგთან დაკავშირებით, რაც გამოიკვეთა ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ოქმებისა და გადაწყვეტილებების რევიზიის შედეგად.
ამის შემდგომ, 2023 წლის 18 დეკემბრის საბჭოს სხდომაზე ცენტრის წარმომადგენლის მიერ დაყენებული იქნა შუამდგომლობა ზემოხსენებულ ოქმსა და გადაწყვეტილებაში გასწორებულიყო ტექნიკური შეცდომა. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს აღნიშნული შუამდგობლობა. 2023 წლის 18 დეკემბრის საბჭოს სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობა და საბჭოს გაზიარების საკითხი არ იყო ასახული 2023 წლის 27 დეკემბრის N1771665 ოქმში.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ გაიზიარა ცენტრის წარმომადგენლის მიერ დაყენებული შუამდგომლობა, შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N1414716 სხდომის ოქმსა და ,,სსიპ - ქალაქ რუსთავის N28 საჯაროს სკოლის ავტორიზაციის ავტორიზაციის შესახებ" 2023 წლის 20 ოქტომბრის N1415023 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, 2023 წლის 20 ოქტომბრის N1414716 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმის მე-5 ნაწილში, კერძოდ, სსიპ - ქალაქ რუსთავის N28 საჯარო სკოლის გადაწყვეტილების ნაწილში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ამოღებულ იქნას საბჭოს შუამდგომლობა დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. ასევე, ,,სსიპ - ქალაქ რუსთავის N28 საჯაროს სკოლის ავტორიზაციის ავტორიზაციის შესახებ" 2023 წლის 20 ოქტომბრის N1415023 გადაწყვეტილებაში ამოღებულ იქნას საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

2. სპს- სენაკის ქართულ- ევროპული სკოლა №1-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, განაცხადა, რომ სპს - სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა №1-ის ავტორიზაციის საკითხი განხილული იყო 2023 წლის 18 დეკემბრის სხდომაზე, თუმცა საბჭოს გადაწყვეტილებით, სპს-სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა გადატანილ იქნა 2024 წლის 10 იანვრის სხდომაზე. მან დააზუსტა, რომ განსახილველი საკითხის სრულყოფილად შესწავლისა და შეფასების მიზნით, ავტორიზაციის დებულების მე-19 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, საბჭოს მომდევნო სხდომაზე დაწესებულებას უნდა წარმოედგინა დამატებითი დოკუმენტაცია, კერძოდ, საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერი, რის შემდეგაც საბჭო განაახლებდა მსჯელობას აღნიშნული სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლელა ჯაშმა, განმარტა, რომ სსიპ- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე ატვირთული იყო მოცემული სკოლის განახლებული ამონაწერი, რომლის მიხედვითაც ფიქსირდებოდა დაწესებულებისთვის ფართის 2030 წლამდე იჯარით გადაცემის გარემოება. სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა ასევე, შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის პროექტი.
ლელა ჯაშმა ამჯერადაც ყურადღება გაამახვილა დაწესებულების შეფასების პროცესში გამოვლენილ ძირითად გარემოებებზე. კერძოდ, ექსპერტმა განაცხადა, რომ სპს - სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1-ში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 19 და 20 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ სენაკში, რუსთაველის ქუჩა N255-ში, ორსართულიანი შენობის მეორე სართულზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 160 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას არ შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 160 მოსწავლისთვის. ლელა ჯაშმა დააზუსტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლას შეეძლო საგანმანათლებლო მომსახურება შეეთავაზებინა არაუმეტეს 140 მოსწავლისთვის.
მან ასევე დასძინა, რომ პირველი და მეოთხე სტანდარტები შეფასდა მეტწილ შესაბამისად, ვინაიდან კომპონენტები 1.1, 1.2, 4.1 და 4.2 შეფასებული იყო მეტწილად. რაც შეეხებოდა მესამე სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისად, ვინაიდან,

კომპონენტები 3.1, 3.3, 3.4, 3.5, და 3.6 შეფასდა მეტწილ შესაბამისად, ხოლო მეორე სტანდარტი შეფასებული იყო როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ლელა ჯაშმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა რამდენად რეალური იყო 250 კვ.მ შენობაში 140 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო სერვისის შეუფერხებლად მიწოდება და სად ტარდებოდა სპორტის გაკვეთილები.

სკოლის დირექტორმა, მაია მზარელუამ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სკოლას ემსახურებოდა ტრანსპორტი, ხოლო ამ მომსახურების მიმწოდებელთან დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება. სპორტის გაკვეთილებზე დასასწრებად კი მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხდებოდა ქალაქის სპორტის სასახლეში. მაია მზარელუამ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ვინაიდან სპორტის გაკვეთილები ტარდებოდა სკოლის შენობის გარეთ, შესაბამისად, დროის მართვის მიზნით, სპორტის გაკვეთილი თითქმის ყველა კლასში ბოლო გაკვეთილად იყო გათვალისწინებული. ლელა ჯაშმა აქვე დასძინა, რომ სპორტის მიმართულებით, რიგ შემთხვევებში, ხდებოდა თეორიული მასალის გაცნობა მოსწავლეებისათვის.

საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი, დაინტერესდა, ემიჯნებოდა თუ არა ერთმანეთს ლაბორატორია, ბიბლიოთეკა და სამასწავლებლო, რომლებიც პრაქტიკულად ერთ სივრცეში იყო განთავსებული.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ მათგან მხოლოდ ლაბორატორიის სივრცე იყო გამიჯნული, თუმცა სკოლა გამოთქვამდა მზაობას, რომ მოცემულ ფართს გამიჯნავდა, სადაც გამოყოფილი იქნებოდა, როგორც კომპიუტერული ლაბორატორია, ასევე სამასწავლებლო.

საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას რატომ არ ჰქონდა ცალკე ოთახი და რატომ ტარდებოდა გაკვეთილები შერეული პრინციპით. სკოლის დირექტორის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეული იყო ფართის სიმცირით, რაზეც საბჭოს ამავე წევრმა გააკეთა კომენტარი, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდით შესაძლოა დამდგარიყო მოსწავლეთა კლასებში სრულფასოვნად განთავსების საფრთხე.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, რამდენი კომპიუტერის რესურსი ჰქონდა სკოლას, რაზეც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნდა 7 ლეპტოპი, რაც, მისი მოსაზრებით, საკმარისი იყო, ვინაიდან თითოეულ კლასში 10-12 მოსწავლე ირიცხებოდა. აქვე, საბჭოს თავმდჯომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე სკოლას ავტორიზაციის ვადა ამოწურული ჰქონდა და კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, როგორ ეყოლებოდათ მოქმედი მოსწავლეები იმ პირობებში, როდესაც სკოლას შეწყვეტილი ჰქონდა ფუნქციონირება. სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ მოსწავლეების სხვა სკოლებში მობილობასთან დაკავშირებით უკვე შემოსული იყო მოთხოვნები.

სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დარეჯან ზარანდიამ, განმარტა, რომ მოსწავლეთა მობილობის საკითხი არ იდგა დღის წესრიგში, ვინაიდან ავტორიზაციის ვადის ამოწურვიდან 10 დღე არ იყო გასული. აქედან გამომდინარე, მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახებოდა სკოლაში. გარდა ამისა, მან ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობდა ჯანსაღი და პოზიტიური გარემო და გამოთქვა მზაობა, დახმარებოდა სკოლას ყველა საჭირო მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი გიგიბერიამ, დასძინა, რომ მხოლოდ ზემოაღნიშნული გარემო ვერ უზრუნველყოფდა საგანმანათლებლო სერვისის შეუფერხებლად მიწოდებას და აუცილებელი იყო შესაბამისი ფართის მქონე შენობაში განხორციელებულიყო სწავლება.

საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, დაინტერესდა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის შინაარსით, სახელად ,,eschool", რომელშიც ასახული იყო მასწავლებლების სტატუსები, ხოლო უმეტეს შემთხვევაში არ ფიქსირდებოდა მათი კონკრეტული სტატუსი. ამასთან დაკავშირებით მან ითხოვა განმარტება.
სკოლის დირექტორმა, მაია მზარელუამ, პასუხად განაცხადა, რომ სკოლას ჰყავდა ძირითადად უსტატუსო მასწავლებლები, თუმცა ბოლო დროს კიდევ ორ მასწავლებელს მიენიჭა შესაბამისი სტატუსი.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი ფართი სრულად იყო დატვირთული იპოთეკით და დაინტერესდა, თუ ვინ იყო იპოთეკის მართვაზე პასუხისმგებელი პირი, გარიგების საფუძველზე სკოლა ხომ არ იყო ვალდებულებით დატვირთული, იპოთეკას იხდიდა სკოლა, თუ ის შპს, რომელთანაც დაწესებულებას ჰქონდა გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება. სკოლის დირექტორმა, მაია მზარელუამ განმარტა, რომ იპოთეკაზე პასუხისმგებლობა აღებული ჰქონდა კონკრეტულ შპს - ს, რაზეც საბჭოს წევრმა სკოლას განუმარტა იმ რისკების თაობაზე, რომლებიც შესაძლოა წარმოშობოდა დაწესებულებას, იპოთეკის მიზნებიდან გამომდინარე თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, არსებული ფართის პირობებში, თუ განიხილავდნენ მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობის შემცირებას.
სკოლის დირექტორმა, მაია მზარელუამ, აღნიშნა, რომ არ აპირებდა მოსწავლეთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის შემცირებას და ელოდებოდა საბჭოს გადაწყვეტილებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს- სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1-ის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე-12
წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად სპს- სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1-ს (ს/კ: 239867872) უარი ეთქვა ავტორიზაციაზე.

3. შპს ალბიონისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, 2023 წლის 15 დეკემბერს შპს ალბიონმა ცენტრში წარადგინა წერილი, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას 2023 წლის 15 სექტემბრიდან არ განუახლებია სასწავლო პროცესი და შეწყვიტა ფუნქციონირება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ დამატებით პოზიციის დაფიქსირება. დაწესებულების დამფუძნებელმა, მირანდა შუბლაძემ, განმარტა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა დედის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, რომელიც იყო მანამდე სკოლის დირექტორი. მან ასევე დასძინა, რომ სკოლა ვეღარ უზრუნველყოფდა ხარისხიანი განათლების მიწოდებას და არ შეესაბამებოდა

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სტანდარტებს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სასწავლო პროცესის გაგრძელებას ისურვებდნენ, მაშინ დაწესებულებას ექნებოდა ახალი შენობის მოძიების საჭიროების აუცილებლობა. შესაბამისად, მოცემულ ეტაპზე მიზანშეწონილად მიაჩნდათ სკოლას შეეწყვიტა ფუნქციონირება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ალბიონისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე-12
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულების" მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, შპს ალბიონს (ს/კ:200072152) გაუუქმდეს ავტორიზაცია

4. სსიპ- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო კაშიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ -წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 5 და 6 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.
ექსპერტმა, ნინო კაშიამ, პრეზენტაციის წარდგენის მსვლელობისას განაცხადა, რომ დასკვნაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა უნდა ყოფილიყო 30 ნაცვლად 20 მოსწავლისა.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 30 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას

ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 30 მოსწავლისათვის.
ექსპერტმა, ნინო კაშიამ განმარტა, რომ სსიპ-წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლის შენობა იკეცებოდა, კერძოდ, შენობის კედლების დაკეცვა შესაძლებელი იყო და საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდა მისი ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა. რაც შეეხებოდა სკოლის გარე პერიმეტრს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეზო სრულად იყო შემოსაზღვრული დამცავი ღობით.
ნინო კაშიამ ისაუბრა სპორტულ დარბაზთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დასაკეცი კედლების პირობებშიც კი სკოლა სრულად იყო აღჭურვილი სპორტის გაკვეთილის განხორციელებისათვის საჭირო ყველა ინვენტარით, თუმცა სკოლას არ ჰქონდა ღია სპორტული დარბაზი.
მან აქვე აღნიშნა, რომ 1-ლი; მე-2; მე-3 და მე-4 სტანდარტები ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასებული იყო როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) შეფასდა მეტწილად.
ექსპერტმა დასძინა, რომ იმ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა, ასევე, მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ზემოაღნიშნული საკითხების განხილვის შემდგომ, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მზად იყო კითხვების მოსასმენად.
საბჭოს თავმჯდომარე დავით მალაზონია დაინტერესდა, რამდენად მდგრადი იყო დაწესებულების შენობა, ვინაიდან, ხდებოდა სკოლის კედლების მოძრაობა და გადაადგილება და რატომ არ ჰქონდა სკოლას გარე სპორტული მოედანი.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ელისო დანგაძემ აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა გარე სპორტული მოედანი, რომელიც მოეწყო ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ პერიოდში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 30 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე-12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მესამე პუნქტების შესაბამისად, სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლას (ს/კ: 221300036) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების

	სახელწოდება	პროგრამის საფეხური	პროგრამის განხორციელების ენა	ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სოფელი გუმათი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სოფელი გუმათი

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის იანვრამდე. კერძოდ, სკოლამ უნდა უზრუნველყოს შენობა ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადის მიხედვით (2024 20.02) და შეათანხმოს უფლებამოსილ ორგანოსთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადის დაცვით (2024 20.02).

5. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 და 26 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ კოდისწყაროში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 60 მოსწავლე. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 60 მოსწავლისათვის.

ექსპერტმა განაცხადა, რომ 1-ლი და მე-3 სტანდარტები შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 და მე-4 სტანდარტები როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 1.1, 1.2, 3.1 და 3.4 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა კინოკლუბი, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა ისტორიული ფილმების ეკრანიზაცია. მისი განცხადებით, დაწესებულება ჩართული იყო სასკოლო აქტივობების ხელშემწყობ ქვეპროგრამაში, ასევე აქტიურად თანამშრომლობდა პროფესიულ სასწავლებელთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
შემდგომ კი თავადვე გაამახვილა ყურადღება პირველ სტანდარტზე და ექსპერტს მიმართა კითხვით, მოხდა თუ არა სკოლის მხრიდან განახლებული დოკუმენტაციის ცენტრში გადმოგზავნა. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ სკოლის მხრიდან მოცემული დროისთვის შესწორებული დოკუმენტაცია გადმოგზავნილი არ იყო.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აქცენტი გააკეთა სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიანი სამოქმედო და და შვიდწლიანი სტრატეგიულ გეგმებზე, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ სკოლა გეგმავდა მისიის გადახედვას და შესაბამისი კორექტირებების განხორციელებას.
საბჭოს ამავე წევრმა ასევე ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ ვერიფიკაციის მექანიზმზე და აღნიშნა, რომ მოცემულ დოკუმენტში შეინიშნებოდა ხარვეზები გვერდების ნუმერაციასთან დაკავშირებით და სკოლას მისცა რეკომენდაცია აღნიშნულის გადახედვასა და ხარვეზების გამოსწორებასთან მიმართებით. მან ასევე დასძინა, რომ მნიშვნელოვანი იყო საგაკვეთილო ცხრილში მკაფიოდ ყოფილიყო ხაზგასმული, როგორც გაკვეთილის დაწყების დრო და დასვენების ხანგრძლივობა, ასევე გაკვეთილების დასრულების დრო.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მესამე პუნქტების შესაბამისად, სსიპ - კასპის

მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლას (ს/კ : 232550806) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60- ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი კოდისწყარო
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი კოდისწყარო

საბჭომ 1.1, 1.2, 3.1 და 3.4 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის იანვრამდე. კერძოდ: დაწესებულებამ შეიმუშაოს და ცენტრში წარმოადგინოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრული იქნება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. ასევე შეიმუშავოს, დაამტკიცოს და წარმოადგინოს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა. შეიმუშავოს, დაამტკიცოს და წარმოადგინოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. წარმოადგინოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, უსაფრთხოების კამერების დამონტაჟების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

6. სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლენჯერის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ბუბაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლენჯერის №2 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 05 და 06 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლენჯერში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 100 მოსწავლე. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 100 მოსწავლისათვის.

ექსპერტმა განაცხადა, რომ 1-ლი, მე-2 და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მე-3 სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 3.4, 3.5 და 3.6 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.

ექსპერტ ლელა ბუბაშვილის განმარტებით, თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში ფიქსირდებოდა საბაზო საფეხურის ყველა საგნის კურიკიულუმი, გარდა სამოქალაქო განათლებისა. საბჭოს წევრმა ექსპერტს სთხოვა გაეზიარებინა ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა ლელა კაკაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას თავდაპირველად ჰქონდა წარმოდგენილი ერთი ნიმუში. ექსპერტისგან გაცემული შესაბამისი რეკომენდაციებისა და რჩევების შემდეგ მოხდა კურიკულუმების შესწორება და სრულყოფილი სახით წარმოდგენა.

სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლენჯერის №2 საჯარო სკოლის დირექტორმა ლალი გულედანმა აღნიშნა, რომ სკოლაში მოცემული ეტაპისთვის გარკვეულწილად გათვალისწინებული იყო ექსპერტების მიერ გაცემული რჩევები და რეკომენდაციები. სკოლის დირექტორის განცხადებით სკოლაში აღმოფხვრილი იყო სახანძრო უსაფრთხოებასთან და ვიდეო-კამერებთან დაკავშირებული პრობლემა. ასევე სრულყოფილ მდგომარეობაში იყო სკოლის ვებ გვერდი. სკოლის მიერ შეთანხმებული იყო საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ლალი გულედანმა აღნიშნა, რომ მოცემული დროისთვის პანდუსებთან დაკავშირებით სკოლა მოლაპარაკებებს აწარმოებდა შესაბამის სამსახურთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლენჯერის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მესამე პუნქტების, 27- ე მუხლის მე- 4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლენჯერის №2 საჯარო სკოლას (ს/კ : 235894467) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100- ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მესტიის მუნიციპალიტეტი. სოფელი ლენჯერი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მესტიის მუნიციპალიტეტი. სოფელი ლენჯერი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2026 წლის იანვრიდან
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი
მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი)

საბჭომ 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის იანვრამდე. კერძოდ: შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, სკოლის ექთნის აყვანისა და სამედიცინო კაბინეტის მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტის, ვიდეოკამერების დამონტაჟების დამადასტურებელი დოკუმენტის, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვის მტკიცებულებების, საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგის შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტის, პანდუსების დამონტაჟების ამსახველი მტკიცებულებებისა და სკოლის ვებგვერდის ფუნქციონირების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში წარმოდგენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 18:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა